საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - მამუკა ნოზაძე

კოლეგიის წევრი - ანა კოტეტიშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ნ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.09.2022

საჩივრის რეგისტრაციის № 080/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ლ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ლ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 20 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ლ. ლ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს „ფ. დ“ შპს „ჰ.“ და შპს „ჯ. თ. გ.“-სთან იმყოფებოდა თანამშრომლურ ურთიერთობაში, ამასთან მას არ გააჩნდა წილი აღნიშნულ კომპანიებში. 2020 წლის 11 ნოემბერიდან შპს „ფ. დ“ გახდა შპს „რ. ს.“-ის წილის მფლობელი, ხოლო შპს „რ. ს.“-ს, თავის მხრივ, წარმოადგენს შპს „ჰ.“-ის და შპს „ჯ. თ. გ.“-ის შვილობილ კომპანიას, სხვა მეწილეებთან ერთად.

1.3 2020 წლის 21 თებერვალს ლ. ლ.-ს ოფიციალური ელ.ფოსტიდან გამოგზავნილი შეტყობინებით დასტურდება, რომ იგი მომსახურებას უწევდა შპს „ჰ.“-ს და უმზადებდა იურიდიულ დოკუმენტაციას, მათ შორის შრომით ხელშეკრულებებს, რითიც დასტურდება, რომ ლ. ლ., აღნიშნული დროიდან, შპს „ჰ.“-ს იურისტი იყო. ადვოკატს ევალებოდა კომპანიისთვის იურიდიული მომსახურების გაწევა, მისი მხარდაჭერა, დაკისრებული ვალდებულების კეთილსინდისიერად/კვალიფიციურად შესრულება და შრომის შინაგანაწესის დაცვა.

1.4 2020 წლის 1 მარტიდან ადვოკატი ლ. ლ. იყო შპს „რ. ს.“-ის იურისტი. თავდაპირველად, ადვოკატი კომპანიის იურისტის პოზიციაზე დაინიშნა 5 თვიანი გამოსაცდელი ვადით. 2020 წლის 1 აგვისტოს, გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ, ადვოკატსა და კომპანიას შორის წერილობით გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, ამავე პერიოდში შპს “რ. ს.”-ის დირექტორი იყო ე. ხ. ამასთან, 2020 წლის 28 მაისის ე. ხ.-ის ფოსტის გზავნილით დასტურდება, რომ მას ლ. ლ.-სგან იურიდიული კონსულტაცია უნდა მიეღო, როგორც შპს „რ. ს.“-ის პროექტთან დაკავშირებით, აგრეთვე შპს „ჰ.“-ის პროექტებთან დაკავშირებითაც, დირექტორი კი ყველა საკითხს დეტალურად განიხილავდა კომპანიის იურისტთან.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ შრომითი ხელშეკრულების 3.1.3 მუხლის მიხედვით, ლ. ლ.-ს ვალდებულება იყო არ გაეხმაურებინა სამსახურთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელსაც შესაძლოა ზიანი მიეყენებინა დამსაქმებლის ან/და მისი კონტრაჰენტებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება ძალაში რჩებოდა დასაქმებულის მიერ თანამდებობის დატოვების შემდეგაც.

1.6 ნ. ხ.-ის განმარტებით, 2020 წლის 16 მაისის ელ.ფოსტის შეტყობინებით დგინდება, რომ ლ. ლ. იურიდიულ კონსულტაციას უწევდა შპს „ჰ.“-ს, შპს „ფ. დ.“-ის კუთვნილი, შპს „რ. ს.“-ის წილების, შეძენასთან დაკავშირებით. ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული კონსულტაცია, მხარეებს შორის მომავალში სადაო წილის ნასყიდობის ხელშეკრულებებს შეეხებოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 1 სექტემბერს შპს „რ. ს.“ და ლ. ლ. შეთანხმდნენ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტაზე. 2020 წლის 30 სექტემბერს კი, შპს „რ. ს.“-ის და შპს „ჰ.“-ის დირექტორმა, ე. ხ.-მა, მიიღო წერილობითი შეტყობინება შპს „ფ. დ.“-ის დირექტორი, ლ. კ.-სგან, რომ ადვოკატი ლ. ლ. იურიდიულ მომსახურებას გაუწევდა შპს „ფ. დ.“-ს. ხოლო 2020 წლის 24 ნოემბრის ელ.ფოსტიდან დგინდება, რომ ლ. ლ. უშუალოდ იყო ჩართული შპს „რ. ს.“-ის 8%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში, ამჯერად როგორც „ფ. დ.“-ის იურისტი, რომელიც შემდგომში უნდა გაფორმებულიყო შპს „ფ. დ.“-სა და შპს „ჰ.“-ს შორის.

1.8 საჩივრის თანახმად, რაც ლ. ლ.-მ თანამდებობა დატოვა, შპს „ჰ.“ და „რ. ს.“-ს იურიდიულ მომსახურებას „B l.“-ი უწევდა. 2020 წლის 12 დეკემბრის ელ. ფოსტის გზავნილით დასტურდება, რომ ლ. ლ. „ფ. დ.“-ის სახელით გზავნიდა შეტყობინებას და ამზადებდა იმ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც უნდა გაფორმებულიყო შპს „ჰ.“-ს , შპს „ჯ. თ. გ.“-ს და შპს „ფ. დ.“-ს შორის. აქვე აღსანიშნავია, რომ შპს „ჯ. თ. გ.“-ის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მესაკუთრე იყო აგრეთვე ე. ხ..

1.9 ნ. ხ.-ის განმარტებით, 2021 წლის 14 იანვრის ელ.ფოსტის მიმოწერებით დგინდება, რომ ლ. ლ. იცავდა „ფ. დ.“-ის ინტერესებს, 8%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრეულების გაფორმებისას, ხოლო 2021 წლის 18 იანვრის კიდევ ერთი ელ.ფოსტის გზავნილი ადასტურებს, რომ ლ. ლ.-ს მიერ

მომზადდა ის დოკუმენტაცია/ხელშეკრულება, რომლის დარღვევის საფუძვლითაც მან საბოლოოდ 2022 წლის 7 აპრილს, როგორც შპს „ფ. დ.“-ის წარმომადგენელმა, სარჩელით მიმართა სასამართლოს ე. ხ.-ის კუთვნილი კომპანიების: შპს „ჯ. თ. გ.“-ს, შპს „ჰ.“-ს და ე. ხ.-ის სამართალ მემკვიდრის, ნ. ხ.-ის წინააღმდეგ.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია შპს „რ. ს.“-სა და ლ. ლ.-ს შორის შეწყდა წერილობითი ფორმით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, თუმცა მასსა და შპს „ჰ.“-ს შორის ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულება კვლავ ძალაში იყო დარჩენილი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ლ. ლ. ფაქტობრივად მომსახურებას არ უწევდა კომპანიას, მას კვლავ ჰქონდა ვალდებულება, რომ კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაემჟღავნებინა ის ინფორმაცია, რომელიც საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში გახდა მისთვის ცნობილი.

1.11 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2021 წლის 23 აპრილს ლ. ლ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა შპს „ჰ.“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის სახელფასო დავალიანების დაკისრება.

1.12 მოსაჩივრის განმარტებით 2022 წლის 28 ივლისს ლ. ლ. შპს „რ. ს.“ -ის პარტნიორთა კრებაზე იცავდა და წარმოადგენდა შპს „ფ. დ.“-ის ინტერესებს, რითიც მან დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8.1 მუხლი და სახეზეა ინტერესთა შეუთავსებლობა, რადგანაც ადვოკატი ლ. ლ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა შპს „რ. ს.“-ს, კონკრეტულად, მისი 80%-იანი წილის მესაკუთრეს - ე. ხ.-ს.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან წერილობითი ფორმით ორჯერ (2022 წლის 13 ივლისსა და 2022 წლის 20 აგვისტოს) მიმართა ლ. ლ.-ს და მოითხოვა მისგან მისი კომპანიების იურისტად ყოფნის პერიოდში განხორციელებული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შედგენილი დოკუმენტაციების გადაცემა. ლ. ლ.-მ არ ითანამშრომლა ნ. ხ.-სთან, რის გამოც მისი, როგორც იურისტის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ საჩივრის ავტორის მხარეს დღემდე არ გააჩნია სრულყოფილი ინფორმაცია.

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, ლ. ლ.-ს ქმედება - შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში წარმომადგენლობა გაუწიოს კომპანიის მეორე პარტნიორს, რომელთანაც შპს „რ. ს.“-ის იმჟამინდელ დირექტორს რთული ურთიერთობა ჰქონდა, ეწინააღმდეგება ეთიკის ნორმებს. საჩივრის ავტორის მოხსენებით, ლ. ლ.-ს უნდა დაეცვა კონფიდენციალური ინფორმაცია და მისი კომპანიაში იურისტად ყოფნის პერიოდში მიღებული ინფორმაცია არ უნდა გამოეყენებინა შპს „რ. ს.“-ის წინააღმდეგ. ამასთან, მის მიერ სასამართლოში დავის წამოწყება და მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვა არღვევს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რაც, ნ. ხ.-ის პოზიციით, ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანისა და ადვოკატის წინააღმდეგ სამართალწარმოების დაწყების საფუძველს იძლევა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ლ.-მ 2022 წლის 3 ოქტომბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება. ადვოკატის თქმით, იგი შპს „ჰ.“ და შპს „რ. ს.“-დან კომპანიების დირექტორის, ე. ხ.-ის თანხმობით გადავიდა პარტნიორ კომპანიაში - შპს „ფ. დ.“-ში. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულს თავად საჩივარზე თანდართული შპს „ფ. დ.“-ის დირექტორის წერილი ადასტურებს.

2.2 მოპასუხე ადვოკატის თქმით, მას არ ჰქონდა წერილობითი ხელშეკრულება გაფორმებული შპს „ჰ.“-სთან, თუმცა ის ასრულებდა ე. ხ.-ის, როგორც ყველა საქმეში დასახელებული კომპანიების, გარდა შპს „ფ. დ.“-ის, დირექტორის მითითებებს. შესაბამისად მისი საქმიანობა ეხებოდა შპს „ჰ.“-საც, თუმცა მას შემდგომ, რაც პარტნიორები შეთანხმდენენ მის შპს „ფ. დ.“-ში გადასვლაზე, მან შეწყვიტა უშუალოდ შპს „რ. ს.“-ის და შპს „ჰ.“-ს იურიდიული მომსახურეობა და შემდგომ პერიოდში ის შპს „ფ. დ.“-ის იურისტის სახელით უწევდა კომპანიებს საერთო საკითხებზე იურიდიულ კონსულტაციას. აღნიშნული მიზნით ე. ხ.-მა, მას შეუწყვიტა „რ. ს.“-სთან დადებული შრომითი ხელშეკრულება, რადგან ერთადერთი მატერიალურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას ე. ხ.-ის კომპანიებთან, იყო აღნიშნული ხელშეკრულება. რაც შეეხება მის საქმიანობას შპს „ჰ.“-სთან, ლ. ლ.-ს განმარტებით, ე. ხ.-სთან შეთანხმებით მას აღარ გაუგრძელებია კომპანიის იურიდიული მომსახურეობა, რაც თუნდაც, მისი შპს „ფ. დ.“-ში გადასვლის შემდგომ, შპს „ჰ.“-თან შრომით ურთიერთობიდან გამომდინარე შესასრულებელი რაიმე ქმედების დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობით დასტურდება.

2.3 მოპასუხე ადვოკატი ხაზს უსვამს, რომ მას არ ჰქონია წვდომა კომპანიის საიდუმლო ინფორმაციასთან. ის იყო ჩვეულებრივი იურისტი, რომელიც დამსაქმებლის მითითებით ამზადებდა სხდომის ოქმებს, ადგენდა სხვადასხვა ხელშეკრულებებს და ასრულებდა სხვა, შესასრულებელი სამუშაოს ობიექტური მიზნებიდან გამომდინარე, მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. შესაბამისად მისი თქმით, მას არ გამოუყენებია და ვერც გამოიყენებდა, რაიმე იმგვარ ინფორმაციას, რომელიც საზიანო აღმოჩნდებოდა ყოფილი დამსაქმებლისთვის. ხოლო რაც შეეხება საჩივრის ავტორის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეები დაპირისპირებულები იყვნენ და მან ეს იცოდა, არ შეესაბამება რეალობას, რადგან ისინი დღესაც პარტნიორები არიან, ხოლო კომპანიაში ამა თუ იმ საკითხზე, პარტნიორთა განსხვავებული აზრის არსებობა და თავიანთი ინტერესებით ხელმძღვანელობა, კორპორაციულსამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს და მას მხოლოდ ამგვარი ურთიერთობის დაკვირვების შედეგად არ შეიძლებოდა სცოდნოდა, პარტნიორებს შორის სადავო გარემოებების არსებობის თაობაზე. ამასთან, 2022 წლის 13 ოქტომბერს გამართულ დისციპლინურ სხდომაზე, ადვოკატმა ლ. ლ.-მ განმარტა, რომ მან, როგორც შპს „ფ. დ.“-ის იურისტმა შეადგინა წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. თავის მხრივ შპს „ჰ.“-მ, ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის მიხედვით, ფასის ღირებულების ნაწილი არ გადაიხადა რის გამოც საბოლოო ჯამში გახდა, სასამართლოში სარჩელის შეტანის საფუძველი. ადვოკატის განმარტებით მნიშვნელოვანია, რომ დავა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან მომდინარეობს და ის არ საჭიროებს, რაიმე იმგვარი „ინსაიდერული“ ინფორმაციის ფლობას, რომელიც რომელიმე მხარისთის საზიანო ან სასარგებლო იქნებოდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, წარმოდგენილი საჩივარი არ არის დასაბუთებული. საჩივრის ავტორს საკუთარი პრეტენზიების გასამყარებლად არ წარუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები და საჩივარში არ ჩანს თუ რა ინფორმაცია გამოიყენა ადვოკატმა კომპანიის საზიანოდ. აღნიშნული ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საჩივარი ნ. ხ.-ის მიერ, ეთიკის კომისიაში, შემოტანილია შურისძიების მიზნით, მის მიერ, ყოფილი დამსაქმებლის წინააღმდეგ, აუნაზღაურებელი ხელფასის მოთხოვნის საფუძვლით, სასამართლოში შეტანილი სარჩელის გამო.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ლ. ლ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ნ. ხ.-მა კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 20 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2020-2022 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ლ. ლ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატმა კლიენტის თანხმობის გარეშე გაამჟღავნა სამსახურთან დაკავშირებული, ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში გახდა მისთვის ცნობილი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ლ.-ს მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.“დ“.).

„ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1.“ა“).

„ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

„ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა) კლიენტის წინააღმდეგ; ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.3).

5.3 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს პროფესიული ვალდებულება გააჩნია არამხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი კლიენტის მიმართაც, შესაბამისად მას შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვას, როგორც აქტიური კლიენტების უფლებების დაცვის, ასევე ყოფილ და აქტიურ კლიენტს შორის არსებული საერთო ინტერესების გადაკეთისა. უკანასკნელი განპირობებულია ადვოკატის ვალდებულებით, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, და უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის იმგვარი დაცვა, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, თუნდაც საქმის დასრულების შემდგომ, არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მან მიიღო კლიენტთან ურთიერთობისას. საადვოკატო პროფესიაში კონფიდენციალურობის დაცვის გამკაცრებული მოთხოვნა, გამომდინარეობს პროფესიის კორპორაციული ბუნებიდან. ადვოკატის მიერ პროფესიული ინფორმაციის გათქმა კლიენტსა და ადვოკატს შორის დამყარებულ ნდობას აცლის საფუძველს. შესაბამისად, ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება არამარტო კონკრეტული ადვოკატის რეპუტაციას ხელყოფს, არამედ ჩრდილს აყენებს მთლიანად ადვოკატთა კორპუსს და სახელს უტეხს პროფესიას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატს მოეთხოვება წინდახედულება სანამ გაავრცელებს იმგვარ ინფორმაციას, რომელიც მისთვის საადვოკატო საქმიანობის დროს გახდა ცნობილი, რათა განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, არ დაარღვიოს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

5.4 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ პროფესიული საიდულოების გათქმის ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის სამტკიცებელია. შესაბამისად, როდესაც მხარე დაობს კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევაზე, მან კონკრეტულად უნდა მიუთითოს იმ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატმა პროფესიული საიდუმლოების დაცვის დარღვევით გაავრცელა. მტკიცების ტვირთის წარმატებით დაძლევისთვის, საჭიროა საჩივრის ავტორმა წარმოადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომელიც კოლეგიას შეუქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, ადვოკატის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპის დარღვასთან დაკავშირებით. კონკრეტულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი გამოთქვამს პრეტენზიას, ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გათქმის თაობაზე, თუმცა სიტყვიერადაც კი, არათუ მტკიცებულებით, არ ასახელებს კონკრეტულად იმ ინფორმაციას, რომელიც მისი განმარტებით მოპასუხე ადვოკატმა არამართლზომიერად გაავრცელა. კონფიდენციალურობის დარღვევაზე ზოგადი მითითება, არ ქმნის ფაქტის განხილვისთვის საკმარის საფუძველებს. საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ინფორმაციის კონფიდენციალურობის ხასიათზე, მისი გავრცელების გზებსა თუ ამით გამოწვეულ შედეგებზე მაშინ, როდესაც მომჩივანმა ზოგადად მიუთითა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დარღვევაზე და არ დააკონკრეტა თავად ინფორმაცია. შესაბამისად, საჩივრის ავტორმა იმ სტანდარტით ვერ დაასაბუთა ადვოკატის მიერ კოონფიდენციალური ინფორმაციის გათქმის ვალდებულების შესაძლო დარღვევა, რომელიც მტკიცების ტვირთს მოპასუხე ადვოკატისკენ შეაბრუნებდა. ამასთან, თავად ადვოკატმა უარყო მისი მხრიდან, რაიმე იმგვარი

ინფორმაციის ფლობა, რომელიც კომპანიის შიდა, არასაჯარო და მისი საქმიანობისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იქნებოდა, შესაბამისად მან გამორიცხა რაიმე ამგვარი ინფორმაციის გავრცელებაც, მხარეათა შეჯიბრობითობის პრინციპიდან გამომდინარე კი, ადვოკატის აღნიშნული განმარტება და თავის მხრივ მომჩივანის მიერ არასაკმარისი ფაქტობრივი გარემოებების მითითება, საპროცესო კოლეგიას უქმნის რწმენას, რომ ადვოკატ ლ. ლ.-ს არ დაურღვევია კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

5.5 საპროცესო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი, მე-3 ნაწილით და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტის დარღვევა, თავისი მოვალეობები ადვოკატმა შეასრულა კეთილსინდისიერად. ადვოკატ ლ. ლ.-ს არ დაურღვევია კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

5.6 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის სხვა პრეტენზიაც, რომლის მიხედვით ადვოკატი, ლ. ლ. საადვოკატო მომსახურეობას უწევს ყოფილი (შპს „რ. ს.") და აქტიური (შპს „ჰ."-ს) დამსაქმებლების წინააღმდეგ მოდავე კომპანიას საქმეში, სადაც თავად იყო ჩართული ყოფილი და აქტიური დამსაქმებელი კომპანიების იურისტად. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ლ.-ს მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას („ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მე-8 მუხლის პირველი ნაწილი).

დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის... და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი. („ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი).

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. (ეთიკის კოდექსი, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი).

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. (ეთიკის კოდექსი, მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი).

,,ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების დაცვისას, თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის

მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, 2022 წლის 08 ივლისის რეკომენდაცია №011/22)

5.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ნებისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების დასრულების შემდეგ, ადვოკატს გააჩნია ვალდებულებები ყოფილი კლიენტების მიმართ, კონფიდენციალურობისა და ინტერესთა კომფლიქტის დაუშვებლობის პრინციპების დაცვის კუთხით, რაც ადვოკატმა განუხრელად უნდა დაიცვას. აღნიშნული ვალდებულების შესრულება ადვოკატის მხრიდან ქმნის სტაბილურ სამართლებრივ გარანტიას იმის თაობაზე, რომ ადვოკატის მხრიდან არ მოხდება კონფიდენციალუროობის პრინციპისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებების დარღვევა.

5.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატისთვის წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტი, საფრთხეს უქმნის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს, რამდენადაც ამ დროს, ადვოკატზე ზეგავლენას ახდენს სხვა ისეთი გარე ფაქტორები, რომლებიც კონკურენციას უწევენ კლიენტის ინტერესებს, ხოლო თავის მხრივ ეთიკური სტანდარტები ადვოკატს არ აძლევს შესაძლებელობას, რომელიმე მათგანს მიანიჭოს უპირატესობა. სწორედ ამიტომ - კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატმა უნდა შეაფასოს პოტენციური კლიენტისათვის გასაწევი იურიდიული მომსახურების შინაარსი და განსაზღვროს კლიენტისთვის მომსახურეობის გაწევისას ხომ არ წარმოეშობა ინტერესთა შეუთავსებლობა. კერძოდ, რამდენად ერთი და იმავე ან დაკავშირებულ საქმეზე ითხოვს მისგან კლიენტი მომსახურეობის გაწევას ადვოკატის ყოფილი/აქტიური კლიენტის წინააღმდეგ და რამდენად არსებობს ყოფილი კლიენტის წინაშე არსებული კონფიდენციალობის ვალდებულების ხელყოფის საფრთხე ან/და ადვოკატი ხომ არ უწევს კლიენტს საადვოკატო მომსახურეობას, იმ საქმეზე, სადაც მას ეკისრებოდა იმგვარი ვალდებულებები, რომელბიც ამჟამად დაუპირისპირდება ადვოკატის პროფესიული ფუნქციების შესრულებას.

5.8 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლიდან გამომდინარე „ერთი და იგივედ“ შეფასდება საქმე, სადაც დავის საგინი, საფუძვლები და მხარეები ერთი და იგივეა. თუმცა მხოლოდ დავის საგნისა და საფუძელბის განსაზღვრა ვერ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტს. რადგან შესაძლებელია დავის ერთი (საფუძვლის) ან ორივე ელემენტის (საფუძვლის და საგნის) შეცვლას შედეგად მიღებულ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისთვის, უკვე ახალ საქმეში, ადვოკატს წარმოეშოს ინტერესთა შეუთავსებლობა. ასეთ დროს, ეთიკის კომისიის შეფასებით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი მოწმდება არა „ერთი და იმავე“, არამედ „არსებითად დაკავშირებული“ საქმეების ტესტით. სამართლებრივად სხვადასხვა საქმე არსებითად დაკავშირებულად კი მაშინ ითვლება, როდესაც ერთ საქმეში მიღებული ინფორმაცია სამართლებრივად გამოსაყენებელია მეორე საქმეში სხვა კლიენტის სასარგებლოდ, რაც პოტენციური კლიენტისათვის არამართებულ უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს.

5.9 კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე ადვოკატი, იურისტის პოზიციაზე მუშაობდა კომპანია „რ. ს.“-ში. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია რომ ადვოკატსა და კომანია შპს „რ. ს.“-ის შორის შრომითსამართლებრივი ურთიერთობა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო და რამოდენიმე თვეში შეწყდა. რაც შეეხება ლ. ლ.-ს შრომითსამართლებრივ ურთიერთობას, შპს „ჰ.-სთან, ადვოკატი, როგორც მხარეები განმარტავენ, ზეპირსიტყვიერად გაფორმდა აღნიშნულ კომპანიაში იურისტის პოზიციაზე, ხოლო მომჩივანის განმარტებით, მასთან შრომითი ურთიერთობა არ გაწყვეტილა. კოლეგია ვერ გაიზიარებს, საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ჰ.“ და ადვოკატ, ლ. ლ.-ს შორის დადებული ზეპირი შრომითსამართლებრივი ხელშეკრულება კვლავ ძალაშია, რაც თავის მხრივ შეუძლებელს გახდიდა მის საქმიანობას/წარმომადგენლობას შპს „ფ. დ.“-ის სასარჩელო მოთხოვნაზე შპს“ჰ.“-ის წინააღმდეგ და შეუქმნიდა მას ინტერესთა კონფლიქტს. შრომის კოდექსის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებიდან გამომდინარე, ერთ თვეზე მეტი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით უნდა გაფორმდეს, ამასთან აღნიშნული მუხლის განმარტებით, წერილობითი ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში, დასაქმებულის ინტერესების დაცვის მიზნიდან გამომდინარე, იგულისხმება რომ ხელშეკრულება უვადოდ გაგრძელდა, თუმცა აღნიშნული პრაქტიკა ვერ გავრცელდება მაშინ, როდესაც თავად დასაქმებული უარყოფს შრომითსამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელებას, რადგან დასაქმებულის ნების წინააღმდეგ ურთიერთობის ამგვარი მოდიფიცირება ეწინააღმდეგება თავად ნორმის, კანონის მიზნიდან გამომდინარე, განმარტებას. ლ. ლ., როგორც საჩივრის მოპასუხე, თავის მხრივ განმარტავს, რომ ე. ხ.-ის დირექტორობით წარმოდგენილ კომპანიებთან, შრომითი ურთიერთობა მას შემდგომ გაწყვიტა, რაც პარტნიორი კომპანიები შეთანხმდენ მის შპს „ფ. დ.“-ში გადასვლაზე, ამასთან საჩივრის ავტორს არ წამოუდგენია იმგვარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, ლ. ლ.-ს შრომითსამართლებრივ ურთიერთობას შპს „ჰ.“-სთან ადვოკატის პარტნიორ კომპანიაში გადასვლის შემდგომ. ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებიდან და საქმეში არსებული მასალების ურთიერთშეჯერებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ადვოკატ ლ. ლ. ამჟამად არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში შპს „ჰ.“-თან და როგორც კომპანიის იურისტს არ ევალება შპს „ჰ.“-ის ინტერესების დაცვა, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოვიდოდა, შპს „ფ. დ.“-ის საჩელზე წარმომადგენლობის გაწევასთან.

5.10 რაც შეეხება ერთი და იმავე ან/და არსებითად დაკავშრებულ საქმეს, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ, ამჟამად მოპასუხე კომპანიაში გაწეული სამუშაო, შპს „ფ. დ.“-ის მიერ წარმოდგენილ სასარჩელო მოთხოვნასთან, არ არის იმგვარ სამართლებრივ კავშირში, რომელიც ადვოკატს შეუქმნიდა, ინტერესთა კონფლიქტს, ერთის მხრივ აქტიური კლიენტის ინტერესების კანონიერი გზით დაცვასა და მეორეს მხრივ ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი სასარჩელო მოთხოვნას იმ ხელშეკრულებაზე აფუძნებს, რომელზეც, მოპასუხე კომპანიის იურისტის სახელითაც მუშაობდა, კოლეგია ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულების შინაარსობრივი ნაწილის შედგენაში ადვოკატი პასიურ როლს თამაშობდა და იმ დროისთვის თანამოაზრე პარტნიორთა ურთიერთშეთანხმებული ნების საფუძველზე შედგენილ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს სამართლებრივ ენაზე „თარგმნიდა“, აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ადვოკატი კონკრეტულ ხელშეკრულებაზე ჯერ ერთი კომპანიის, ხოლო შემდგომ მეორე კომპანიის იურისტის სახელით მუშაობდა, რაც გამორიცხავს ხელშეკრულების პირობების

შედგენისას, რომელიმე კომპანიის უპირატესი ინტერესით ხელმძღვანელობას. ამასთან, არ დგინდება ადვოკატის მიერ ხელშეკრულებაზე მუშაობისას რაიმე ისეთი ინფორმაციის მირებოს ფაქტი, რომელიც სამართლებრივად გამოსაყენებელი იქნებოდა სასარჩელო წარმოებაში და რომელიც აქტიურ კლიენტს არამართებულად ჩააყენებდა უპირატეს მდომარეობაში მოდავე მხარესთან. საქმის მასალებიდან არ ჩანს და არ დასტურდება, რომ ადვოკატს ხელშეკრულების შედგენისას ან/და ყოფილ დამსაქმებელთან უშუალოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, რაიმე ისეთ ინფორმაციაზე ჰქონდა წვდომა, რომელსაც ამჟამად დავის შედეგისთვის არსებითი მნიშვნელობა ექნება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების მიზნით განხორციელებული საქმიანობა და სასამართლოში ნასყიდობის ფასის გადახდასთან დაკავშირებული სასარჩელო წარმოება, ცალსახად არ მიიჩნევა არც „ერთი და იგივე“ და არც „არსებითად დაკავშირებულ“ საქმეებად.

5.11 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ლ.-ს არ წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი შპს „ფ. დ.“-ის ინტერესების დაცვისას მისი ყოფილი დამსაქმებლების წინააღმდეგ და ადვოკატს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1, 8.3 და „ეთიკის კოდექსი“ 6.1, 6.3 მუხლების მოთხოვნები.

5.12 საჩივრის ავტორის განცხადებით მან წერილობითი ფორმით ორჯერ (2022 წლის 13 ივლისსა და 2022 წლის 20 აგვისტოს) მიმართა ლ. ლ.-ს და მოითხოვა მისგან მისი კომპანიების იურისტად ყოფნის პერიოდში განხორციელებული ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შედგენილი დოკუმენტაციების გადაცემა. ლ. ლ.-მ კი მასთან არ ითანამშრომლა. საპროცესო კოლეგიამ შეაფასა ადვოკატ ლ. ლ.-ს მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევა:

> „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15)

5.13 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ევალება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ ლ. ლ.-ს მიერ, პროფესიული ვალდებულების დარღვევის ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის სამტკიცებელია. საჩივრის ავტორმა ერთის მხრივ კონკრეტულად უნდა მიუთითოს იმ დოკუმენტსა თუ სხვა მატერიალურ ქონებაზე, რომელიც მან ადვოკატს გადასცა საქმის განხორციელების მიზნით და მეორეს მხრივ, დაადასტუროს ადვოკატისათვის აღნიშნული დოკუმენტების გამოთხოვის მიზნით მიმართვის ფაქტი.

5.14 მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებიდან, საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ მოპასუხე ადვოკატი, იურისტის პოზიციაზე მუშაობდა როგორც კომპანია „რა. ს.“-ში ასევე შპს „ჰ.“-ში. კომპანიების ამჟამინდელმა დირექტორმა, მოპასუხე ადვოკატს მიწერა წერილი, რომლითაც მოითხოვა მისთვის როგორც ე. ხ.-ის მემკვიდრისა და კომპანიების დირექტორისთვის მიეწოდებინა შემდეგი ინფორმაცია: 1) როდის დაიწყო და შეწყვიტა ადვოკატმა თანამშრომლობა ე. ხ.-სთან პირადად და ზემოთაღნიშნულ კომპანიებთან; 2) რა შედიოდა ადვოკატის უფლება-მოვალეობებში და 3) რა სახის ხელშეკრუულების დოკუმენტებს ამზადებდა და რომელი მათგანი იყო ხელმოწერილი ე. ხ.-ის მიერ და რომელი არა. აღნიშნული წერილიდან არ დსტურდება რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან გამოითხოვა კონკრეტული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც მან მისი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო. საჩივრის ავტორი მოპასუხე ადვოკატს სთხოვს, ზოგადი სახის ინფორმაციას, რომელიც არ ჯდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 ფორმულირებაში. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევა.

5.15 საპროცესო კოლეგია ადგენს, რომ საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევა, თავისი მოვალეობები ადვოკატმა შეასრულა კეთილსინდისიერად, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ ლ. ლ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №080/22 ადვოკატ ლ. ლ.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/